ᲓᲠᲝᲔᲑᲐ

№ 15 ოთხშაბათი, 21 იანვარი 1909 წ. № 15

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲝ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

გაზეთი «დროება» სულ ათ ფურცლისგან (40 გვერდი) ორ ფურცელ-ნახევარ ფასად (2½ კაპ.) ... ნახევარ ფასად (1 მან. 25 კაპ.) ... ერთ ფურცელ-ნახევარ ... (1 მან. 10 კ.) ... ერთ ... (1 მან. 10 კ.) ... ერთ ... (1 მან. 10 კ.) ... ერთ

სამართალშია მისაცემი, ნება ეძლევა კომისიას საქმე ღძრას.

პეტერბურგი. ვაჭრობის მინისტრმა ნება დართო ნავთის მრეწველთა კრებას, განიხილოს საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად სასარგებლოა სახაზინო მიწების გადაცემა დასამუშავებლად.

მოსკოვი. საგუბერნიო საერობო კრებამ ხანგრძლივის კამათის შემდეგ დაადგინა ტოლსტოის იუბილეისა და ტურგენევის სიკვდილის 25 წლის შესრულების აღსანიშნავად დაარსოს მაზრებში 26 ბიბლიოთეკა.

პეტერბურგი. საფრანგეთის რადიკალურ პრესაში დასტამბული წერილები სტატსკი სოვეტნიკის რაჩკოვსკის წინააღმდეგ. აბრალებენ არა მოსაწონ მოქმედებას პოლიტიკურ საქმეებში. რაჩკოვსკიმ 1902 წელს დაანება თავი შინაგან საქმეთა სამინისტროში სამსახურს. 1905 წელს ხელახლა შევიდა სამსახურში ხსენებულ სამინისტროში და 1906 წლიდან დღემდე ერთ თანამდებობას ასრულებს. ამ ხნის განმავლობაში მას არავითარი მონაწილეობა არ მიუღია სახელმწიფოს საწინააღმდეგო ბოროტ-მოქმედებათა გამომჟღავნებაში. გაზეთებში გამოთქმული აზრები მის წინააღმდეგ მოკლებულია ყოველსავე საფუძველს.

პეტერბურგი. მთავრობამ გამოაქვეყნა ცნობა შემოდგომაზე ტურუხანის ოლქში მომხდარ ამბების შესახებ. პოლიტიკურმა გადასახლებულებმა იქ არეულობა მოახდინეს. უწესოების მოსასპობლად ოლქში გაიგზავნა რაზმი აფიცრის უფროსობით. ეხლა იქვე კრასნოიარსკიდან გაიგზავნა მერვე დივიზიის დროებითი უფროსი გენ.-მაიორი ტროფიმოვი მსროლელთა ერთი როტითა და ყაზახების ერთი ვზვოდით. 4 იანვარს ტურუხანის ოლქში შემოიღეს სამხედრო წესები გაძლიერებულ წესების მაგიერ. მთავრობამ ზომები მიიღო ბოროტ-მომქმედთა შესაპყრობლად და პასუხის აგებლობაში მისაცემად.

მიხედეთ ტუსაღებს!

ვინც სტუსდობაში მჯდარა (ჩვენს დროში ვინდა არა მჯდარა!) იმან კარგად იცის მუტად უმწეო მდგომარეობა ქართველ ტუსაღებისა სულიერ სიზარდის მხრივ.

რუსულ წიგნების გარდა, არც თუ სხვა ეროვნების წიგნებს შეეხვედებით სატუსაღოს წიგნთსაცავში, მაგრამ ერთ ათიოდეს მაინც უსათუოდ დაესოფლით. ქართულ წიგნებიდან კი ერთი იდიას „გლეხის ნაამბობია“ და ისაც ადარც თავი აქვს, ადარც ბოლო.

სურვილი კი დიდია და მოთხოვნილება დაუკმაყოფილებელი რჩება. წინა წლებშიაც იყო ქართველ სიზოგადოებისადმი მომართვა და ეხლაც კვლავ მსურს მოვაგონო ჩვენს სიზოგადოებას —მიხედოს ჩამწყვდეულ თავის წევრებს თითო-ოროლა წიგნის შეწირვით ყოველ წლივ. რადგან სატუსაღოს ბევრი მეითხველი, უჩვეულობისა გამო, ისე სუფთად ვერ ეპყრობა წიგნებს და ამიტომ სატუსაღოში წიგნი ამდენს ხანს ვერ იმსახურებს, რამდენსაც იგი ჩვეულ ხელში სძღებს.

თუ გავიხსენებთ ჩვენის სატუსაღოს შედგენილობას ტუსაღების მხრივ, ეს წვლილი სიზოგადოებისა არც თუ ისე უმნიშვნელოა, როგორც ბევრს მოეჩვენება და რასაც ამტკიცებს სიზოგადოების გულცივობა ამ საქმისადმი. გაიხსენეთ უკანასკნელი წლები, მოიგონეთ ხალხის ღელვა და ბევრ უსეირო მებრძოლს შორის ის გულით და სულით გატაცებული პატიოსანი შვილნი, რომელნიც, დრამდ ადელვებულნი უსამართლობით, თავგანწირულნი იბრძოდნენ. ბევრმა მაგანმა იქმე, პატარა შეუმჩნეველ ბრძოლის ველზე დადა სული, ბევრი კალიკეწა სამშობლო მიწა-წყალიდან, ბევრი კიდევ გულმოკლული სატუსაღოს საკანის ჭუჭრუტანა სარკმელიდან გასცქერის სამშობლო ცის სივრცეს და კი მოშავალის დოდინში ატარებს უმოქმედოდ დღეს დღეზე, თვეს თვეზე, წელს წელზე.

ეი ამათ გულისთვის მაინც მაგნეტი სატუსაღოს. იქ დიდი სურვილია წიგნის კითხვისა, უფრო დიდი სურვილია წერა-კითხვის შესწავლისა.

საგუბერნიო ციხეში ოცამდე კანცელკვეული ეზოა; თითო ეზოში ოთხმოცამდე კაცია დამწყვდეული. ყველა ეზოში, საუბედურად, ქართველები სჭარობენ სხვებს. ზოგში ამათ კარგა არავინ არის. ახალგაზრდები, შუახნისანი და მოხუცნი ერთმანეთში არიან ერეულნი მოშეტებული ნაწილი ვითომ საშიში რევოლიუციონერები არიან და ამიტომ მოუშორებიათ სოფლებისთვის და დაბეჩავებულ ცოდვიანობისთვის. ეი ამისთანა ხალხშია დიდი სურვილი წერა-კითხვის შესწავლისა. მასწავლებელნიც ბევრნი არიან მათში, რადგან უკანველ ეზოში რამდენიმე ინტელიგენტი თუ არა, წერა-კითხვის მცოდნე მაინც მოიძებნება.

ერთ ეზოში ერთმანეთს ხელიდან ჭეღეკავდნენ „დედა-ენის“ პირველ ნაწილს. ზოგი ფურცლებს კლეკავდა და ამ ფურცლებს უწყვებდა ჩაკირკიტებას და „ბა-ბუ“-ს ბუტბუტს. ანბანის არ მცოდნენი მცოდნეთ ეხვეწებოდნენ, ესწავლებინათ. ქალაქდაისა და სამწერლო მასალის უქონლობისა გამო ქვის ან ნაფოტის ნატეხებით დედამიწაზე გამოჭიკავდათ ანბანი. ეი სწავლის სურვილის სურათი ჩვენს სატუსაღოში, და მეგონია დიდი დანაშაული იქნება ჩვენთვის, თავისუფლად მცხოვრებ ქართველებისთვის, თუ ამ სურვილს ყურადღებას არ მივაქცევთ და ამოდენა ჩამწყვდეულ ხალხს სულიერ სიზარდის არ მივაწვდით.

ამიტომ კვლავ მივმართავ ქართველ სიზოგადოებას, ქართულ საქველმოქმედო სიზოგადოებას, წიგნების გაშმაგებულების და მწერლების, ცოტა რამეს ნუ დაიშურებენ, თავს იდვნ ამ საქმის მიწყობა და სიბერობიდან წიგნების მოწოდება. ნაოფი დიდი იქნება და მოულოდნელი. იქიდან კამოსული სიტყვა ქვეყანას დაუბრუნდება წერა-კითხვის მცოდნე და კითხვით ცოტად თუ ბევრად განვითარებულიც. უეურადღებოდ ამოდენა ხალხის მიტოვება კი შემოგვდვნის ბევრ კარეგნილ ზნეობრივად გათახსირებულ წევრს, რის მიზეზიც იქნება უსაქმობა და უაზრო სიცოცხლე ოთხ კედელშეა.

კერძოდ მსურს მივმართო ბ-ნ ია კობ ბოგებაშვილს და ვთხოვთ, რომ ბევრ სიკეთესთან, ერთი სიკეთეც ჰქნას და რამდენიმე ცალი თავის „დედა-ენისა“ შესწიროს მეტეხისა და სავუბერნიო ციხეს. ჩემის აზრით, ეოველი შეწირულება წიგნებით, ქალაქდაით და სამწერლო მასალით უნდა ხდებოდეს ქართველ საქველმოქმედო საზოგადოების შუამდგომლობით. ამ უკანასკნელმა კავშირი უნდა იქონიოს საბერობიდეთა კომიტეტთან, ოთარემ კერძოდ შეწირული ან გაგზავნილი ნივთები მიზანს ვერ ასახწევს.

ლ. მაზრელი.

ინჟინერი აზევი და სოც.-რევ. პარტია

(საკუთარ დეპეშა)

პეტერბურგში 18 იანვარს, შუადღის 12 საათზე, საგანგებო საქმეთა გამომძიებლის დადგენილებით, გაჩხრიკეს პოლიციის დეპარტამენტის დირექტორად ნამყოფის ლოპუხინის სახლი. მერე ლოპუხინი დააპატიმრეს. ჩხრეკის დროს ლოპუხინის ბინაზე იყვნენ პეტერბურგის სამოსამართლო პალატის ბრალმდებელი, ერთი იმისი ამხანაგი და პოლიციელები.

მთავრობამ შემდეგი ცნობა გამოაქვეყნა: „საზღვარგარეთის პრესის ცნობებით, ინჟინერი აზევი ითვლებოდა საიდუმლო საზოგადოების, ეგრედ წოდებულ სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის წევრად და ამავე დროს საიდუმლო პოლიციის ორგანოებს აწვდიდა ცნობებს ხსენებულ პარტიის შესახებ. სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის წევრებმა ბრალი დასდეს აზევს, რომ მას პოლიციასთან კავშირი აქვს. ამ საქმის გამოაშკარავებაში (იმაში, რომ აზევი პოლიციის აგენტიც იყო) დიდი მონაწილეობა მიიღო პოლიციის დეპარტამენტის ყოფილმა დირექტორმა ლოპუხინმა. მოხდენილმა გამოძიებამ გამოარკვია, რომ ლოპუხინმა ნამდვილად მიაწოდა სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიას დასამტკიცებელი საბუთები იმისა, რომ აზევი პოლიციის აგენტი იყო. ლოპუხინმა იცოდა აზევის ამბები, რადგან ორივენი საიდუმლო პოლიციაში მსახურებდნენ და საბუთებიც აქედან მიაწოდა. ლოპუხინის გაცემამ მოჰყვა აზევის განდევნა პარტიიდან და ამით პოლიციის სახსარი მოესპო, დროზე მიიღოს ხოლმე ცნობები სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის ბოროტ-განზრახვებზე. ამ პარტიის მიზანი კი ეიოველ ხარისხოვან ტეროროისტულ აქტების მოხდენაა. ამ საგნის გამო შეგროვილი მასალა საფუძვლად დაედო იმას, რომ ლოპუხინი სამართალში მიეცა და გაჩხრეკის შემდეგ დაპატიმრებულ იქმნა“.

ახალი ამბავი

ტ ფ ი ლ ი ს ი

✦ **კახეთის რკინის გზის შესახებ.** როგორც უკვე ვწერდით, ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურობამ გადასწყვიტა, აიღოს კახეთის რკინის გზის გაყვანის საქმე. თავადაზნაურთა წარმომადგენლებმა თავიანთი აზრი სამინისტროს წარუდგინეს. ამავე წარმომადგენლებმა შეიმუშავეს პროექტი საქციონერო საზოგადოების წესდებისა. თავადაზნაურობას უნდა დაარსოს საქციონერო საზოგადოება, რომელიც შეადგენს საჭირო თანხას—11 მილიონ მანეთს რკინის გზის გასაყვანად. 17 თებერვლისთვის გზათა სამინისტროსთან დანიშნულია სხდომა განსაკუთრებულ კომისიისა, რომელმაც, სხვათა შორის, უნდა განიხილოს როგორც შუამდგომლობა რკინის გზის გაყვანის შესახებ, ისე პროექტი საქციონერო საზოგადოების წესდებისა. 25 იანვარს ტფილისიდან პეტერბურგს მიდიან თავად-აზნაურთა რწმუნებულნი თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილი, ინჟენერები თავ. გ. თუმანიშვილი და თავ. ი ზ. ანდრონიკაშვილი. რწმუნებულთ უნდა დაიცვან შუამდგომლობა როგორც კომისიაში, ისე სხვა დაწესებულებებში.

✦ **ტფ. ქალაქის საბჭო.** ორშაბათს, 19 დეკემბერს, მოხდა სხდომა ტფ. ქალაქის საბჭოსი. თავმჯდომარეობდა ალ. ხატისოვი. საბჭომ ამ საღამოს წვრილმანი საქმეები განიხილა. საბჭომ თხოვნისამებრ რამდენსამე პირს აპატია დასაფასებელ გადასახადის დარჩენილი ფული. მიიღო განსვენებულ მ. ი. თამამშვილის მემკვიდრეების მიერ, თანახმად მამის ანდერძისა, შეწირული 4000 წიგნი ქალაქის ბიბლიოთეკისთვის; დაადგინა, შემწირველთ მადლობა გამოუცხადონ. კამათი გამოიწვია გუბერნატორის მოწერილობამ—განსახილველ საქმეთა სიიდან გამორიცხეთ გამგეობის დადგენილება სიცილიაში მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ 200 ლირის გადმოტანის შესახებ. ქალაქის მმართველობა ეკრძალებოდა ამ ფულის ხარჯვა. ეს ფული ეკუთვნის „მოაერობას“ ეგზეკუტორია აქვს საბჭოს განსახილველ საქმეთა სიიდან რამდენიმე საქმე გამოარიცხვინოსო. გამოირკვა, რომ გუბერნატორს სიმხედრო წესის ძალით შეუძლიან მოხსნას საქმე. ამიტომ ლაპარაკი ჩამოვარდა იმაზე, თუ როგორ მოიერხოს, რომ თავის მხრით დახმარება გაუწიოს დაზარალებულთ. საბჭომ დაადგინა: „ქალაქის საბჭო უღრმეს მწუხარებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ იგი მოკლებულ იქმნა საშუალებას გამოეცხადებინა მორალური თანაგრძნობა მსოფლიო ტრაგედიის გამო, რომელსაც ადგილი ჰქონდა სიცილიის ნაპირებზე, და მცირე წვლილითაც მაინც შეძლების დაგვარი დახმარება გაეწია საშინელ მიწის ძვრის აურაცხველ მსხვერპლთათვის. საბჭო ავალებს ქალაქის თავის მოადგილეს, აღსძრას შუამდგომლობა ნამესტნიკის წინაშე, ნება დართოს საბჭოს, ახლო მომავალ ერთ-ერთ სხდომიზედ განიხილოს მოხსენება სიცილიაში დაზარალებულთა შემწეობის აღმოჩენის შესახებ. საბჭო ამასთან აღნიშნავს, რომ ამავე მიზნისათვის მოსკოვის ქალაქის საბჭომ გადასდო 10,000 ლირი, ბათუმის ქალაქის გამგეობამ 300 მან. და რომ ქალაქის საბჭოს ისტორიაში მრავალია იმისი მაგალითი, რომ საბჭოს ამგვარ უბედურ შემთხვევების დროს შემწეობა აღმოუჩენია რუსეთის სხვა და სხვა კუთხის მცხოვრებთათვის“. შემდეგ საბჭომ აირჩია ორი წევრი ნ. ე. ზუბალაშვილის სახლის თავშესაფარის გამგე კომისიაში. არჩეულ იქმნენ სარქისოვი და რ. იოანესიანი. საბჭოს ნერვები დაუმშვიდდა და წინანდებულად აღარ განრისხებულა, როცა მას ხელახლა წარედგინა თხოვნა სულით ავათმყოფთა თავშესაფარის მეთვალყურეობიდან დათხოვნილ ქალის მდივნისა. მდივანმა ხელახლა ითხოვა, ან გამოიძიეთ ჩემი დათხოვნის საქმე ან და შემწეობა დამინიშნეთო. საბჭომ 200 მანეთი დანიშნა ქ-ნ მდივნისთვის.

ფელეტონი

ახალი ხანა ჭიათურის შავი ქვის მრეწველობაში

ვინც დაჰკვირვებია ჩვენი ქვეყნის ცხოვრებას, იმან ცოტად თუ ბევრად იცის ჩვენი ხალხის მდგომარეობა, იცის, თუ რა არის მისი ცხოვრების წყარო და საღსარი. მაგრამ, სამწუხაროდ, ასეთი მცოდნენი ძალიან ნაკლებათა გყვანან, თითებზე ჩამოითვლებიან. ხშირად იმერელმა არ იცის ქართლელის ყოფა-ცხოვრება, მისი ავლა-დიდება; ქართლელმა კიდევ-იმერლისა, სვანმა-კახელისა, კახელმა გურულისა. ასეთ მდგომარეობაში არიან ისინიც, ვინც ჩვენში განათლებულად იწოდებიან.

ყველას მოეხსენება, რომ ჩვენი მეურნეობა და მრეწველობა შეუსწავლელია. ჩვენში არ არის გამოკვლეული სასოფლო-მეურნეობის მდგომარეობა, არ მოგვეძებნება ცნობები იმ წარმოებათა შესახებ, რომელნიც დღეს-დღეობით შადგენენ ჩვენი ხალხის ცხოვრების წყაროს. ამის მაგალითს ისევ ჭიათურის შავი ქვის მრეწველობა წარმოადგენს. ეს მრეწველობა ერთად-ერთია მთელ საქართველოში, მას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ხალხის ეკონომიურ ცხოვრებაში, მაგრამ, ამის და მიუხედავად, იმის შესახებ ძალიან ცოტა რამ ვიცით, ძალიან ცოტა ცნობები გვაქვს. მთელ დასავლეთ საქართველოში და ქართლში მხოლოდ ის იციან, რომ ჭიათურაში არის რაღაც შავი მადანი, რომელიც იყიდება და შეიძლება ამით კაცმა ფული იშოვოსო. კახეთსა და ჯავახეთში შემთხვევით თუ ეცოდინება ვისმეს, რომ ჭიათურაში შავ ქვას აწარმოებენ.

მნიშვნელობა-კი ამ მრეწველობისა, როგორცა ვთქვით, დიდია. ჭიათურის მრეწველობაში გამეფებულ კრიზისის გავლენა მეტად ძლიერ დაეტყო მთელ დასავლეთ საქართველოსა და ქართლს, რომლის მცხოვრებნიც აქ შოულობდნენ სამუშაოს. დღეს მთელ ქუთაისის გუბერნიაში საშინელი უფულობაა, ვაჭრობა დაცემულია და ყველას ცხვირ-პირი ჩამოსტირის. მიუხედავად კარგის მოსავლისა, ხალხი მაინც მუტად შეევიწროებულია. თვით ქუთაისში დიდი გაჭირვებაა. გლეხობაზე ხომ რაღა ითქმის! მან სულ ვეღარსად მოიბრუნა ხელი და გადასახადის მიცემას ვეღარ ახერხებს. დიაღ, ფული აღარ არის, აღარ იშოვება. თურმე ნუ იჯყვით, იმ ფულის წყარო, რომელიც ისე უხვად ტრიალებდა აქეთ, ჭიათურის წარმოება ყოფილა. იგი წლიურად 4—7 მილიონამდის აძლევდა საქართველოს. დამეთანხმეთ, რომ ეს მცირე თანხა არ არის ჩვენისთანა საწყალ ხალხისათვის.

ზევით უკვე ვთქვით, რომ გამოკვლევანი ჭიათურის შავი ქვის შესახებ ძალიან ცოტაა. ამ შემთხვევაში ყველაზე საინტერესო ისევ მრეწველთა საბჭოს გამოცემებია—ორი წიგნი. „Статистика марганцеваго дѣла“ 1906 და 1907 წლებისა. ამ წიგნებში ბევრი საყურადღებო ცნობაა მოყვანილი.

შეიძლება მკითხველს მოეხსენება, რომ ჭიათურაში შავი ქვა აღმოაჩინეს მეოთხმოცე წლების დასაწყისში პატივცემულ აკაკი წერეთლის მეცადინეობით. ჯერ იმდენად არავინ ეტანებოდა და სარგებლობის იმედიც არავისა ჰქონდა. მაგრამ თან და თან გაჩნდნენ უცხოელები ევროპიდან, ქვა საზღვარ გარეთ გაიტანეს და იმის სიკარგეში მექარხნეები დაარწმუნეს. სულ ჩქარა ჭიათურაში მუშაობა გაჩაღდა. აუარებელ მადანს ეზიდებოდნენ ყვირილაში. შორაპნიდან ჭიათურამდის რკინის გზაც გაიყვანეს და ჩვენმა შავმა ქვამ მსოფლიო ბაზარზე პირველი ადგილი დაიჭირა. ჭიათურას თან და თან ემატებოდნენ ევროპიდან კაპიტალისტები და წარმოება ძლიერდებოდა. 1886 წელს დამუშავეს 4.215 ათასი ფუთი მადანი, 1899 წელს კი დამუშავებულ მადნის რაოდენობა 40,363,492 ფუთამდის ავიდა.

მთელი ამ ხნის განმავლობაში დამყარდა წარმოების ერთგვარი წესი, რომელიც დღემდე პატონობს. ეს წესი იმაში მდგომარეობს, რომ ქვის დამმუშავებელნი, მრეწველნი თავიანთ ნაწარმოებს თვითონ კი არა ჰყიდიან მომხმარებელ მექარხნეზე, არამედ ადგილობრივ, ჭიათურაშივე აბარებენ უცხოელ კაპიტალისტებს, რომელნიც ეზიდებიან მადანს საზღვარ-გარედ. ამნაირ წესის შექმნას ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ მადნიანი ადგილები უმთავრესად ადგილობრივ მემამულეთა და გლეხთა ხელში იყო და მადნის დამმუშავებელნი, მრეწველნიც იმდენად უცოდინარნი იყვნენ (და არიან დღესაც), რომ არ შეეძლოთ პირდაპირ საზღვარ გარეთელ მყიდველთან დაეჭირათ საქმე. მოსულ უცხოელთათვისაც ბევრად უფრო ხელსაყრელი იყო ადგილობრივ მრეწველთაგან ეყიდათ მზა-მზარეულად დამუშავებული მადანი და მერე გაეტანათ იგი საზღვარ-გარედ. ამით ისინი ბევრად იადვილებდნენ საქმეს, რადგან, დიდი მრეწველობის დაწყების ნაცვლად, მათ კომისიონერობის მეტი აღარა სჭირდებოდათ რა და მოგებაც მეტი რჩებოდათ. მრეწველები მათ ხელში იყვნენ და არიან, ფასები მათზე იყო (და არის) დამოკიდებული. ერთის სიტყვით, ჭიათურის მრეწველობის ბატონ-პატრონად ისინი ითვლებოდნენ. თუმცა მადნის პირდაპირ დამუშავებაში არავითარ მონაწილეობას არ იღებდნენ.

ამ კაპიტალისტებმა, რომელთაც აქ „ექსპორტიორებს“ ეძახიან, შეჰქმნეს ქვის გაყიდვის ერთგვარი წესი, რომელიც პირდაპირ გამომდინარეობდა მათ მიერ აღებულ კომისიონერის როლიდან, ე. ი. მათი ვაჭრობა და მონაწილეობა შავი ქვის მრეწველობაში შემთხვევითი ხასიათისა იყო. შემთხვევით მოახერხებდნენ მადნის იაფად ყიდვას, მერე მოახერხებულ დროს მეტ ფასში გასაღებდნენ და ფულს იგებდნენ. ვინც უფრო მოხერხებული იყო, ის მეტს მადანს ასაღებდა და მეტი გამორჩენაცა ჰქონდა. ვისაც ცოტა-დენი თანხა გააჩნდა და თან შნოც შესწევდა, ქვას იძენდა ადგილობრივ მრეწველთაგან, რომელთაც აქ „ფოდრაჩიკებს“ ეძახიან, და, ამ რიგად, ექსპორტიორთა რიცხვში ეწერებოდა. ასეთი წესი მეტად უნიადაგო, მრეწველობისათვის უსარგებლო იყო. მას არავითარი მტკიცე საფუძველი არ გააჩნდა და მისი არსებობა ყოველთვის შემთხვევაზე იყო დამოკიდებული. ამის გამო ისე გაადვილდა ექსპორტიორობა, რომ რომელი გადმოხვეწილი ბერძენი ან უცხოელიც არ უნდა მოსულიყო ჭიათურაში, მაშინვე ექსპორტიორობას იწყებდა და „ფოდრაჩიკებიც“ ალისით უზადავდნენ თავიანთ ნაწარმოებს. ბევრი მათგანი იმასაც კი ახერხებდა, რომ ნისიად იღებდა მადანს ხოლო თვითონ ან ნაღდზე ჰყიდდა ან, ყოველ შემთხვევაში, ბანკში აგირავებდა და ამნაირად მრეწველთა მთელი ნაწარმოებიდან მხოლო თვითონ რჩებოდა ყოველგვარი სარგებლობა. ამის მაგალითი მრავალი. „ფოდრაჩიკებმა“ ბევრი [illegible] ღე იგემეს ასეთ ვაჭრობა-ტონობა. ეს ამ ... ...

მასწავლებლად ნამყოფს ქ. ნ. შაქულაშვილისთვის გადასდო 450 მან. საბჭომ დაადგინა, სამასწავლებლო ინსტიტუტში გააუქმოს ერთი სტიპენდია ა. ს. პუშკინის სახელობისა. ამ მგოსნის სახელობაზედ საბჭოს ორი სტიპენდია (თითო 400 მან.) დაინიშნა ავლაბრის პროგიმნაზიაში. სხვა წვრილმან საქმეების განხილვის შემდეგ საბჭო შეუდგა საქალაქო საქმეთა საკრებულოში წარმომადგენელის არჩევას. დაასახელეს პ. დოლუხანოვი, ი. მ. დოლუხანოვი, თავ. გ. მ. თუმანოვი და ტ. ამ. ენფიანჯიანცი. ამ უკანასკნელის გარდა კენჭის ყრაზე ყველამ უარი განაცხადა. 33 ხმით წინაალმდეგ 12-სა არჩეულ იქმნა ტ. ა. ენფიანჯიანცი.

◆ მოქმედების შეწყვეტა. უსახსრობისა გამო მოქმედება შესწყვიტა თამბაქოს ქარხნების მუშათა პროფესიონალურმა კავშირმა.

◆ საბაზრო ადგილი. ხმოსანმა სტ. ჭრელაშვილმა საყურადღებო საკითხი აღძრა საბჭოში. მოხსენება შეიტანა საბაზრო ადგილის შესახებ. სწერს, რომ ქალაქს დღემდე არა აქვს რიგიანად მოწყობილი ბაზრის ადგილი. ეს ადგილები, სადაც ეხლა ბაზრები იმართება, ძალზე ვიწროა და ანტისანიტარულ მდგომარეობაშია. ხმოსნის აზრით ბაზრისთვის საუკეთესო ადგილად შეიძლება ჩითვალოს ახალ ხიდის მარჯვნის ზემოდ მდებარე ადგილები. აქ ქალაქს ეკუთვნის პაპკოვისეული სახლი და კარგა მოზრდილი ადგილი. განზრახულია მეზობლად მდებარე ადგილების შეძენაც. ეს ადგილები შეიძლება ისე გასწორდეს და მოეწყოს, რომ შეუდარებელი გახდეს ბაზრისთვის. აქვეა მტკვარი და ადვილად შეიძლება სისუფთავის დაცვაცა. აზრი ფრიად მოსაწონია. მხოლოდ საბჭოს უნარზეა დამოკიდებული, როგორ მალე განახორციელებს ამ აზრს. ეს მით უფრო დასაჩქარებელია, რომ შუა ბაზარი საშინელ ანტისანიტარულ ბინძურ კუთხეს წარმოადგენს, რაც შესაძლებელია გაზაფხულიდან ხელს შეუწყობს ტფილისის ხშირ სტუმრის—ხოლერის გაძლიერებას.

◆ კავკასიის უნივერსიტეტი. რედაქციამ მიიღო რუსული წიგნაკი ამ სათაურათ „კავკასიის უნივერსიტეტი“, წერილი გიორგი თუმანოვისა. ეს წერილი გადმობეჭდილია ჟურნალ „ობრაზოვანიე“-დან.

◆ იოსებ მგალობლიშვილის გარდაცვალების გამო. პეტერბურგიდან შემდეგი დეპეშა მოგვივიდა: „დიდად ვწუხვართ ძვირფას მასწავლებლის იოსებ პავლეს ძე მგალობლიშვილის გარდაცვალების გამო. მისი მოწაფენი ჯიჯინაძე, გოგოლაშვილი, დადიანი, დგებუაძე, მამრაძე, ლევან ნათაძე, ახმეტელაშვილი, ჯავახიშვილი“.

◆ ბაკის მოსპობა. ოსმალეთის მთავრობამ ამას წინად მოსპო ბაკის აღება ერზერუმის ვილაეთში შეტანილ ფქვილზე. ეს დადგენილება, როგორც პეტერბურგის საგენტო იუწყება, გაუვრცელებიათ სიმინდისა და ქერის ფქვილზედაც.

◆ ახალი ჯარი კავკასიაში. დეპეშათა საგენტო იუწყება, კერპის ციხე გაუქმდა და ამის გამო მეციხოვნე პოლკი კავკასიაში იგზავნებაო.

◆ კიდევ პირველ დაბეჭდილ წიგნის შესახებ. გუშინ ცნობა გვქონდა დაბეჭდილი პირველ ქართულ სტამბისა და წიგნის შესახებ. პირველი სტამბა გაიხსნა ტფილისში 1709 წელს და ამ წელს ხუცურის ანბანით დაბეჭდილი წიგნები წერა. კითხვის საზოგადოების მუზეუმშიაც არიან. ფიქრობდნენ, რომ **მხედრულის** ანბანით პირველი ქართული წიგნი ტფილისში დაიბეჭდა 1712 წელს მაშინდელი („ვეფხვის ტყაოსანი“ წ.-კ. საზოგადოებაშიაც არის). ის წიგნი კი „დავითნი“, რომელიც შესწირა საზოგადოებას რუსეთიდან ანდრონიკაშვილმა, აღღვევს ამ ცნობას პირველ მხედრულ წიგნის შესახებ და გვიჩვენებს, რომ 1711 წელსაც ყოფილა ტფილისში დაბეჭდილი მხედრულ ანბანით ქართული წიგნი და ადრეც, რადგან ამ 1711 წლ. წიგნი გვაუწყებს, რომ მეორედ გამოცემულია. ამასთან ვიცით, რომ წიგნები ქართულად საქართველოზე ადრე დაიბეჭდა იტალიაში, სახელდობრ 1625 წელსა და შემდეგ.

◆ ახალი საზოგადოება. ტფილისში არსდება თურმე ახალი საადა, მაგრამ მაინც მოსული კაპიტალისტები ირჩევდენ კომისიონერობა—ექსპორტიორობას. ეს არის მიზეზი, რომ დღემდის მთელი შავი ქვის მრეწველობა „ფოდრაჩიკთა“ ხელშია, რომელთა რიცხვი 400—500 აღემატება, ხოლო მრეწველ კაპიტალისტთა რიცხვი რაღაც 3 თუ 4-ია; ამათაც მხოლოდ ამ ბოლო დროს დაიწყეს მუშაობა. სამადნო ადგილებიც უმთავრესად წვრილ მრეწველთა ხელშია. ამნაირად, ჭიათურის „ფოდრაჩიკების“ ხელში უჭირავთ შავი ქვის მრეწველობის უმთავრესი ძარღვი, ხოლო ამ ძარღვიდან გამომჩქეფარე სიმდიდრე სხვას უვარდება კალთაში!

მრეწველთა მდგომარეობა შეირყა მას შემდეგ, რაც მუშებმა განსაზღვრული ხელფასი და სამუშაო დრო მოიახოვეს. 1905 წლ-დან გაუქმდა მუშაობის ძველი წესები და დამყარდა დღიური ხელფასი და 8 საათის სამუშაო დღე. ამას გარდა გამოიცა ახალი კანონები მუშების დაზღვევის შესახებ. მოითხოვეს სამადნოების გაფართოება და გამაგრება. თვით მაღაროებიც ძლიან დიდ მანძილზეა და მუშაობა უფრო გაძნელდა. ყველა ამის მიხედვით მრეწველობის დაწყება აუცილებლად კაპიტალს, თანხას თხოულობს, რომელიც ცალკე მრეწველს ბევრს არ გააჩნია.

თუმცა დღემდის ძველი წესები არსებობს, მაგრამ აშკარადა სჩანს განახლების ნიშნები. აც დღე მიდის, მით უფრო თვალსაჩინო ხდება.

თუმცა დღემდის ძველ წესები არსებობს, მაგრამ აშკარად სჩანს განახლების ნიშნები. რაც დღ. მიდის, მით უფრო თვალსაჩინო ხდებ, რომ მალე მოელება ბოლო ძველ ჩსებს და ეხლანდელი წვრილი მრეწველებიც გაჭრებიან.

ამ სათაურათ „კავკასიის უნივერსიტეტი“, წერილი გიორგი თუმანოვისა. ეს წერილი გადმობეჭდილია ჟურნალ „ობრაზოვანიე“-დან.

◆ იოსებ მგალობლიშვილის გარდაცვალების გამო. პეტერბურგიდან შემდეგი დეპეშა მოგვივიდა: „დიდად ვწუხვართ ძვირფას მასწავლებლის იოსებ პავლეს ძე მგალობლიშვილის გარდაცვალების გამო. მისი მოწაფენი ჯიჯინაძე, გოგოლაშვილი, დადიანი, დგებუაძე, მამრაძე, ლევან ნათაძე, ახმეტელაშვილი, ჯავახიშვილი“.

◆ ბაკის მოსპობა. ოსმალეთის მთავრობამ ამას წინად მოსპო ბაკის აღება ერზერუმის ვილაეთში შეტანილ ფქვილზე. ეს დადგენილება, როგორც პეტერბურგის საგენტო იუწყება, გაუვრცელებიათ სიმინდისა და ქერის ფქვილზედაც.

◆ ახალი ჯარი კავკასიაში. დეპეშათა საგენტო იუწყება, კერპის ციხე გაუქმდა და ამის გამო მეციხოვნე პოლკი კავკასიაში იგზავნებაო.

◆ კიდევ პირველ დაბეჭდილ წიგნის შესახებ. გუშინ ცნობა გვქონდა დაბეჭდილი პირველ ქართულ სტამბისა და წიგნის შესახებ. პირველი სტამბა გაიხსნა ტფილისში 1709 წელს და ამ წელს ხუცურის ანბანით დაბეჭდილი წიგნები წერა. კითხვის საზოგადოების მუზეუმშიაც არიან. ფიქრობდნენ, რომ **მხედრულის** ანბანით პირველი ქართული წიგნი ტფილისში დაიბეჭდა 1712 წელს მაშინდელი („ვეფხვის ტყაოსანი“ წ.-კ. საზოგადოებაშიაც არის). ის წიგნი კი „დავითნი“, რომელიც შესწირა საზოგადოებას რუსეთიდან ანდრონიკაშვილმა, აღღვევს ამ ცნობას პირველ მხედრულ წიგნის შესახებ და გვიჩვენებს, რომ 1711 წელსაც ყოფილა ტფილისში დაბეჭდილი მხედრულ ანბანით ქართული წიგნი და ადრეც, რადგან ამ 1711 წლ. წიგნი გვაუწყებს, რომ მეორედ გამოცემულია. ამასთან ვიცით, რომ წიგნები ქართულად საქართველოზე ადრე დაიბეჭდა იტალიაში, სახელდობრ 1625 წელსა და შემდეგ.

◆ ახალი საზოგადოება. ტფილისში არსდება თურმე ახალი საადელ ნავთსადგურის მოუწყობლობა და დაინახავთ, რომ ძალაუნებურად სხვა მხარეებს უნდა გაეძლიერებინათ და გაეფართოებინათ მარგანეცის წარმოება, რომ დაეკმაყოფილებინათ მსოფლიო მოთხოვნილება. ამიტომ, თუ პირველ ხანებში ჭიათურის მადანს სერიოზული მეტოქე არა ჰყავდა, რადგან იგი საუკეთესო იყო ყველა ცნობილ მადნთა შორის და აგრეთვე, რადგან ჭიათურა ეახლოვებოდა ევროპის ბაზარს, სამაგიეროდ, ზემოხსენებულმა პირობებმა ხელი შეუწყეს სერიოზულ კონკურენტების გაჩენას. ამ ხანებში დაიწყო მუშაობა ბრაზილიამ; ინდოეთმა გააძლიერა მუშაობა და გატანილი ქვის რაოდენობა 1892 წელს 60,000 ფუთიდან 3 მილიონ ფუთამდის აიყვანა 1890 წელს. მაგრამ 1898 წლის დამლევს დაიკლდა ჭიათურის ტარიფს სამი კაპეიკი და ხელოვნურად შეკავებულმა წარმოებამ ცოტათი თავისუფლად ამოისუნთქა. 1899 წელს ჭიათურიდან გაიტანეს 21,660 ათასი ფუთი მადანი, ე. ი. საერთოდ ყველა ქვეყნებიდან გატანილ მადნის 42%. 1900 წელს გატანილ მადნის რაოდენობამ 25.440 ათას ფუთს მიაღწია, ე. ი. საერთო რაოდენობის 45%-ს.

ამ ხნიდან ჭიათურის მონაწილეობა მსოფლიო ბაზრის დაკმაყოფილებაში თან და თან ძირს იწევს და 1906 წელს 37 პროცენტამდის ჩამოდის. ამავე დროს ბრაზილიამ სრულიად გამოდევნა ჩვენი მადანი ამერიკის ბაზრიდან, ხოლო ინდოეთმა 18 მილიონი მადანი მიაწოდა ევროპას. აქაც, რა თქმა უნდა, ჩვენმა რკინის გზამ შეუწყო ხელი ჭიათურის მეტოქეთა გამარჯვებას: მას არ გააჩნდა საკმაო რიცხვი ვაგონებისა და ორთქლმავალებისა და თან

*) თუ რიგიერ იხმარება მარგანეცის მადანი მეტალურგიაში და რა მდგომარეობაშია ჩვენი მადანი სხვა ქვეყნების მადან-ან შედარებით: ფირსუბის, სიმდიდრის და რაოდენობის მხრივ, ამახ ვეფხვი ქვემო ცალკე წერილში.

დეგი შეცდომები შეესწორა: სვეტი 2, სტრიქონი 17 ზევიდან დაბეჭდილია „დღესას ეულმა ეშენო“ უნდა იყოს დღესასწაულმა გვაშენო; იქვე, სტრ. 23, დაბეჭდილია „როგორც ერთგული“; უნდა იყოს „როგორც ერთგული“, სვეტი 3, სტრ. 23, დაბეჭდილია „თითქმის მეფე“, უნდა იყოს „ბეჭ რგვინოსანი მეფე“. იქვე, სტრ. 32, დაბეჭდილია „სხვანაირის ხმლითა“ უნდა იყოს „ხვარანის ხმლითა“. სვეტი 6, სტრ. 41, დაბეჭდილია „ზოდა ამ სატრფოშატ“, უნდა იყოს „ხოდო ამ სატრფოშატა“.

წერილები

თელავი. 11 ივნვარს ძოადა კრება თელავის სამეკითხველოში. გასახდგელი იყო სამეკითხველოს კ. ული წლის სარჯთ-აღრიცხვა სამეკითხველოს კამკეშა და სარეგეზიო კომისიის წევრებმა წარმოადგინეს ანგარიში, სადაც შემოსავალ-გასავალი ერთნაირად იყო აღნიშნული. კრებამ ეს ანგარიში არ მიიღო და დაავალა კამკეს, სულ-ახლა შეადგინოს ანგარიში, მხოლოდ ისე კი, რომ ცალ-ცალკე იყოს აღნიშნული, რაში რა დაიხარჯა და სიიდან რა შემოვიდა. ამის შემდეგ გაიმართა კამთი სამეკითხველოს შეთავლეურის ჯამაგირის მოსმატების შესახებ. სარეგეზიო კომისიის ერთი წევრი, შეთავლეურის ნათესავი, და რამდენიმე მისი თანამოზრე; დაბეჯითებით თხოულობდნენ ჯამაგირის მოსმატებას. ამახ დიდი ადგილობა მოახდინა. რაკი დაუსრულებელ კამთს ბოლო არ უჩნდა, კრებამ დაადგინა, სკითხი ფარულის კენჭის ერით გადაყვეტილიეო. ჯამაგირის მოსმატების მოხსენი დიდის უმრავლესობით დამარცხდნენ ან კი სიიდან და რომელი წყარიდან ენდა მოუმატებინათ ეს ჯამაგირი რიდესაც რაც აქვს, იმასაც ვერ ასდის შემოსავალი.

კრებამ დაადგინა, ამ თვის 21-ს გამართოს წარმოდგენა სამეკითხველოს სასარგებლოდ. ამის გასამართავად მიმართეს ბ-ნ დ. მ. გამურელიძეს.

კრებაზე დამარაკი იყო ამაზე, თუ რატომ შეშეიადარ-დადიან სამეკითხველო. ბევრი აძის მიხუზად კამგეს სოფლიდ. სხვა უწესობებიც იყო. ეხლა ძალიძდება ეს უწესობანი ადარ განმეორდეს, რადგან ახალი კამგე აირჩიეს, ბ-ნი ნ. მთავარელიშვილი, რომელიც ამედია საქმეს კარგად წაიყვანს.

გურჯი.

◆ ტფ. გუბერნატორმა სთხოვა ქალაქის კამგეობას კაუკუნავნის წესი კ. ი. ზუბალაშვილის სახადხო სახლის მართვა-კამგეობის სახელმძღვანელოდ შემუშავებული.

—

შეცდომის გასწორება. დროების მე-13 ნომერში, ფელეტონში „აკაკის დღესასწაულისა გამო“ შემ-

რევოლიუცია სპარსეთში

ასტარის ამბები

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

მომხრენი სათარ-ხანისა სპარსეთში თანდათან მრავლდებიან, სოციალ-კონსტიტუციონალისტები უსეინ-ალი-ხანის მეთაურობით მოვიდნენ სპარსეთის ასტარაში და ქალაქი და მთელი არდაბილის საგუბერნატორო გამოაცხადეს თავის ხელ-ქვეითად. წინაალმდეგობა ვერავინ გაჰბედა და დღეს უსეინ-ალი-ხანის განკარგულებაშია მთელი ხალხი ასტარიდან ასი ვერსის მანძილზე.

უსეინ-ალი-ხანმა განკარგულება გასცა, რომ სპარსეთის ასტარის დამოუნამ არამც და არამც ფული შაჰს არ გაუგზავნოს. ფული აქვე უნდა დარჩეს, რადგან იგი ხალხისაა და არა შაჰისაო! მისივე განკარგულებით, მოგზაურთ დამოუნის ბაჟს არ ახდევინებენ! თითონ უიარაღოა ხოლო ჯარი იარაღით ახლავს და თუ შაჰის მომხრე ჩაიგდო ვინმე ხელში, დაუჯარიმებლად არ გაუშვებს! თვით აქაური მმართველი-გუბერნატორი კარ ჩაკეტილში იმალება და შიშით გარედ ვერ გამოდის.

ეტყობა, რომ უსეინ-ალი-ხანი მშვიდობის მოყვარეა, რადგან ჯერ არც ერთი კაცის სისხლი არ დაუღვრია. ამასთან საერთო საქმეზედაც მზრუნავს: მისის ბრძანებით დღეს მდინარეებზე ხიდებს იმართვენ, გზებს აკეთებენ და სხვა. აი მისი სიტყვები: მე ვარ სათარ-ხანის თანამოაზრე და დაჩაგრული ხალხის მომხრე! მე მსურს, რომ სათარ-ხანს აქ გზა გაკაფული დაჰხვდეს, უნდა შევუერთდე იმის უძლეველ დროშას! ესეცა სთქვა: თუ რუსეთი კონსტიტუციას განახორციელებს სპარსეთში იმ შემთხვევაში მის ბაირაღს მე რეშტში ავმართავო.

ლენქორანში რომ ექსპროპრიატორებმა ფოსტა გაძარცვეს 17 დეკემბერს; იმ.თში, გარდა ერთისა, ყველანი დაიჭირეს. სამი მოჰკლეს ორი ცოცხალია; ფული, 27 ათასი მანეთი, აღმოაჩინეს, ხოლო ერთი კაცი და 8 ათასი მანეთი ჯერ არა შჩანს. ამის მომქმედნი ქართველები ყოფილან.

ასტარელი.

ოსმალეთი

ოსმალეთის პარლამენტის მოქმედება

„რუსკ. ვედომოსტი“-ს სტამბოლელი კორესპონდენტი საინტერესო ცნობებს იძლევა ოსმალეთის ნორჩ პარლამენტის მოქმედების შესახებ. კორესპონდენტი 9 იანვრის თარიღით სწერს: „ოსმალეთის პარლამენტი ჯერ კიდევ ემზადება სამოქმედოთ. ჯერ არც ერთი კანონ-პროექტი არ განუხილავს პალატის საზოგადო კრებას. ჯერ არც სამინისტროს შეუტანია ბიუჯეტი. მაგრამ მაინც ეხლავე ცხადად გამოირკვა პარლამენტის მოქმედების უმთავრესი მიმართულება და მისი მდგომარეობა ოსმალეთის სხვა დაწესებულებათა შორის.

პალატამ უმთავრესი ყურადღება მიაქცია ხუთს საკითხს და მათ შესახებ შეეკითხა კიდეც მთავრობას: —რად დაადგენია სამინისტრომ ბიუჯეტის წარმოდგენაო?—შეეკითხნენ დეპუტატები.—იმიტომ რომ ყოველი ღონე ვიღონე და მაინც ვერ წარმოვადგენინე დროზე გასავლის ხარჯთ-აღრიცხვები ჩემს ამხანაგებს, —უპასუხა ფინანსთა მინისტრმა.— ეგ რა საბუთია? მიუგეს დეპუტატებმა. მოვალე ხართ ძალა დაატანოთ და კანონი შეასრულებინოთ თქვენს ხელქვეითებს და ბიუჯეტის თაობაზე თქვენ უნდა აგოთ პასუხი ჩვენს წინაშე. თუ საქმის თავი არა გაქვთ, უნდა გადადგეთ სამსახურიდან. მაგრამ სხვა დეპუტატები გამოესარჩლნენ ფინანსთა მინისტრს ზია-ფაშას. მინისტრი თურმე ძალზე ეცადა, ძლიერ აშურებდა თავის ამხანაგებს, მაგრამ მოხელეების ძველის-ძველი ზნე და დაუდევრობა ერთბაშად ვერ აღმოიფხვრება. ამას ანგარიში უნდა გაუწიოს ყველამ. მეორეს მხრით შემოსავლის ბიუჯეტი და

თითონ ფინანსთა სამინისტროს [illegible] სავლის [illegible] და. ამ[illegible] ვოთ ზი[illegible] სუხისგება მოვთხოვოთ [illegible] ოებს, რომლებმაც დროზე ვერ წარუდგინეს ხარჯთ-აღრიცხვები. მაგრამ აქ დიბადა საკითხი: განა შეიძლება პასუხისგება მოეთხოვოს ცალ-ცალკე მინისტრებს, როდესაც არსებობს ერთიანი პასუხისმგებელი სამინისტრო? რასაკვირველია პასუხი უნდა მოეთხოვოს სამინისტროს მეთაურს—პირველ მინისტრსაო და პალატამ დაადგინა, თითონ კიამილ-ფაშას შეეკითხოთ და განმარტება მოვთხოვოთო. ამ დღეებში კიამილ-ფაშა პასუხს გასცემს პარლამენტს, და თუ მისმა განმარტებამ დაკმაყოფილა დეპუტატები, პალატაც ლმობიერებას გამოიჩენს და ამ ხანად აპატიებს სამინისტროს კანონის უნებლიეთ დარღვევას.

პარლამენტი თვალ-ყურს ადევნებს დაბალ ადმინისტრაციის მოქმედებასაც. 8 იანვრის სხდომის დროს პალატამ გაარჩია მოქმედება სულეიმანიის (ქალ. მოსულს ახლოა) გუბერნატორისა და ჯარის უფროსისა, რომლებმაც დაატუსაღეს და სულეიმანიიდან განდევნეს შეიხი საიდი. ეს შეიხი ყოფილა ყაჩაღი და რეაქციონერი, როგორც ბევრნი სხვანი, ვისთვისაც ძველი რეჟიმი თავის უკანონობით ხელსაყრელი იყო. კონსტიტუციის აღდგენა რო გაიგეს, სულეიმანიის მცხოვრებთ მოინდომეს თავის მტარვალის დასჯა: საიდს თავის ხელით მოუნდომეს მოკვლა. გუბერნატორმა და ჯარის უფროსმა, უწესობა რომ არ მომხდარიყო, საიდი დაატუსაღეს და გადაასახლეს მოსულში, სადაც საიდმა მთავრობის წინააღმდეგ აგიტაცია დაიწყო და უწესობა გამოიწვია. მოხდა შეტაკება ორ პარტიას შორის და ჯარი იძულებული იყო საქმეში ჩარეულიყო. შეტაკების დროს ოცზე მეტი კაცი მოჰკლეს.

პალატამ უკანონოდა სცნო სულემანიის მოხელეების მოქმედება. თუ საიდი არ იყო დამნაშავე, იგი უნდა დაეფარათ ხალხის გულის წყრომისგანო. თუ საიდი ნამდვილად ყაჩაღი იყო და მთავრობის წინააღმდეგ მოქმედებდა, იგი კანონის ძალით უნდა მიეცათ სამართალში. ადმინისტრატიულად დატუსაღება და გადასახლება წარმოადგენენ ძველი რეჟიმის ნაშთს, რომლის გავლენისგან სამწუხაროდ მოხელეები ჯერ ვერ განთავისუფლებულანო. ამიტომ მოხელეები პასუხის გებაში უნდა მიიცენონო. პალატამ ეს საქმე გადასცა ერთ-ერთ თავის კომისიას.

მესამე საკითხი, რომელიც თითონ მთავრობამ წარუდგინა პარლამეტს, არის საკითხი ძველ რეჟიმის მოღვაწეთა შესახებ, რომელნიც დღემდე სამხედრო სამინისტროში არიან დამწყვდეულნი, ან პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებიან პრინცის კუნძულებზე. მათ დასჯას თხოულობს აღშფოთებული საზოგადოებრივი სინიდისი. ეხლაც კი ყოველდღე ჩნდება მათ მიერ ჩადენილი მრავალი ბოროტ-მოქმედება, ჩაზინის ფულების გაფლანგვა და სხვა.

—ჩვენ რომ ვაპატიოთ, ამ „ერის წინაალმდეგ დამნაშავეთ“ ვერ აპატიებენ უბედურნი მსხვერპლნი, დაღუპულნი საპატიმროებსა, ბოსფორის ტალღებსა და მათ მიერ გატყავებულ და შერცხვენილ ოსმალეთის ყველა კუთხეში. მაგრამ იბადება საკითხი,—ვინ და რა წესით მიეცეს სამართალში. დამნაშავეთ შორის არიან მინისტრები, რომლების სამართალში მიცემა შეუძლიან მხოლოდ პარლამენტს და გასამართლება—უმაღლეს სახელმწიფო სასამართლოს, არიან მოხელეები, რომელთაც პასუხის გება უნდა მოსთხოვონ მათმა უფროსებმა. დასასრულ, დატუსაღებულ მეთაურების გარდა, მთელს ოსმალეთში ფუსფუსი ვააქვთ მათ აგენტებსა და თანაშემწეებს. ეს საქმეც პალატამ გადასცა კომი-

სიას, რომელსაც თან ესეთი დარიგება მისცა: არაა საჭირო განსაკუთრებული სასამართლო და საგანგებო კანონები. თავისუფლებამ არ უნდა მიჰმართოს იმ რეპრესიულ ღონისძიებათ, რომელნიც ასე უყვართ მტარვალებს. ბრალდება და საქმე უნდა სწარმოებდეს ნორმალურ წესით ეხლანდელ კანონების ძალითაო.

კონსტიტუციონურ სახელმწიფოთა უმეტესობაში გარეშე პოლიტიკას აწარმოებს თითონ მთავრობა, ხოლო ხალხის წარმომადგენლები ან საზოგადო დირექტივებს აძლევს მთავრობას, ან ამტკიცებენ მთავრობის მიერ უკვე შეკრულ საერთაშორისო პირობებს. ოსმალეთის პარლამენტი კი იმ აზრისაა, რომ იგი მოვალეა დაიცვას სამშობლოს საერთაშორისო ინტერესებიც. ამიტომ იგი არჩევს ძველს საერთაშორისო ხელშეკრულობათ და თვალყურს ადევნებს, რომ ახალმა ხელშეკრულობებმაც ზარალი არ მოაყენონ იმპერიის ინტერესებს; ასე, მაგალითად, მან მოითხოვა განმარტება ბაღდადის რკინის გზის აშენების თაობაზე და იმ კონცესიის ნამდვილ პირის წარმოდგენა, რომელიც ამ საქმეზე მიეცა გერმანიას და დღემდე არა ყოფილა გამოქვეყნებული, რადგან ხმა დადიოდა, რომ კონცესიაში შეტანილია ოსმალეთისთვის მეტად საზარალო მუხლებიო, რომლებმაც სხვათა შორის ინგლისიც დააფიქრესო. ამას გარდა, პარლამენტმა გამოუცხადა დიდ ვეზირს, ყურადღება მიაქციეთ, რომ ავსტრიამ მთელი ნოვობაზარის სანჯაყიდან კი არა, მარტო მისი ორი მაზრიდან გაიყვანა ჯარიო.

დასასრულ, პალატამ აღძრა საკითხი ჯილდოებსა, ჩინებსა და პენსიებზე, რომლებსაც გიჟურის გულუხვობით და დაუმსახურებლივ ურიგებდნენ დაახლოვებულ და ვინ გინდარა კაცებს.

ამნაირად ჩვენ ვხედავთ, რომ ოსმალეთის პარლამენტი ბეჯითად და მრავალ მხროვანად მოქმედებს. იგი თვალყურს ადევნებს, რევიზიას უწევს დარიგებას აძლევს მთავრობას და პასუხის გებას თხოულობს დამნაშავეთაგან. იგი ამით საშინლად არყევს ბოროტმოქმედებაში გაქვავებულს და დახავსებულს ადმინისტრაციულ მაშინას და ამავე დროს წარმოადგენს ახალ დროისა და ახალ ტიპის პარლამენტს: იგი ხალხის წარმომადგენელთა კრებაა, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფოს ჭეშმარიტ და ნამდვილ მთავრობას, მოსილს სრულის უფლებითა და ძალითა.“

თეატრი და ხელოვნება

—()—

ქუთაისი. 18 იანვარს დრამატიულ დასის ამხანაგობამ წარმოადგინა პირველად ადგილობრივ სცენაზედ ირთვიელის პიესა „დამარცხებულნი“. ამ პიესას საზოგადოება უკვე იცნობს და ამიტომ იმის შინაარსის კადმოცემას არ შეუდგები; ვიტყვი მხოლოდ, რომ იგი ჩვენს დროში არსებულ ორ კლასთა ურთიერთობას ეხება. ასრულების მხრივ ეს პიესა ერთ საუკეთესოდ შესრულებულ პიესად ჩაითვლებოდა თუ ამ საზოგადოებაში, რომ მესამე მოქმედების ცოტა წყადი არ კვლესხა მაყურებელთათვის. ამ მოქმედებაში, რომელიც სწარმოებს მუშა ნიკო ბერდიაშვილის ბინაზედ, საადუმლოდ იერიბებიან ეპეიცულ მუშების მეთაურები. გამოჩნდნენ თუ არა ეს მუშები სცენაზედ, მაყურებლებმა უსიამოვნო შთაბეჭდილება იგრძნეს. ამ მოქმედებაში მეთაურ მუშების როლს ასრულებდნენ სწორედ ისინი, ვინც წინა მოქმედებაში იყო ჯაშუში, ყანდარმის აგენტები. მეექარხნე და მისი მოურავი!.. მართალია, ჩვენ დავსწრებიეართ, როდესაც დასი სუსტია და ერთი მსახიობი ორ როლს ასრულებს, მაგრამ აქ ორ უკიდურეს ბინაკთანა გვაქვს საქმე. მათი ინტერესი ამდენად კანსხვავდება ერთი-ერთმანეთისაგან, რამ მარტოოდენ გრიმისა და ტანისამოსის შეცვლა არა კმარა. ის მსახიობი, რომელიც ბირველ მოქმედებაში გვისახავს სიისხლის მსმელ ექიმარსნეს—აესმე მოქმედებაში მუშათა კრების თავმჯდომარეა. ყანდარმის უფროსი რომელმაც უკვე იცნო ამ კრების ამბავი და თავს უნდა დაესხეს მუშებს, ტანსამოსს გამოცვლილი კრებაშია და თავმჯდომარის ამხანაგად ითვლება. ნუ თუ ასე სუსტია დასი რომ ამ უმნიშვნელო როლებში ვერავინ კამოიყვანეს?

როდესაც ამ სადამოს უკვდამ კარგად იცოდა. შეუდარებელი იყო ქ-ნი ივანიძისა მეხუთე მოქმედებაში. დედის სიძლიერით კადმოგვცა მან კანწირულ დედის სულის კვეთება, რომელიც დასტირის თავის შემრცხვენელ შვილებს, ერთს მოდალატეს, მეორეს კი ამ დალატით კაუბედურებულს.

ადსანიშნავია, რომ სასრულ ია-რადი ქართულ სცენაზედ მუდამ ძველის ძაღლი და უვარგისია. ამ კვარ ია-რადის ხმარება დრამატიულ სცენის აუკეთესებს. ასე იყო ამ სადამოსაც. მესამე მოქმედებაში, როდესაც მუშების კრებას თავს ესხმის ბოდიცია და კრების შეშფოთებულ ასპირანტს, ერთმა მუშამ რევოლვერს იერა ხელი, მაგრამ დაკანკალებული ადმოხნდა. სამჯერ ჩახმახის დაცემინების შემდეგ, მსოდოდ ფისტონმა მოიდო ტკბილი და ვითომ რევოლვერი კაისროდესო, ბოდიციელები, კარგა დოდინის შემდეგ, შემოცვივდნენ სცენაზედ. ამ კვარ დრამატიულ ადგილების ასრულებას მეტი ეურადღება უნდა მიექცეს.

ხალხი მოსადოდნელზე ნაკლები დასწრო.

შემდეგი წარმოდგენა დანიშნულია ხუთშაბათისთვის. ითამაშებენ შედოდრამას „კოვერლეის მეკვლეობის“ ქ-ნ ივანიძის სასარგებლოდ.

ჯაფარ-ფაშა.

პასუხად ბ-ნ არისტო ქუთათელაძეს

(დასასრული *)

„განათლების“ რედაქციას არა ცოდნია, თუ რა არის „ბუსტუფუ“ ფერი და ჩვენი რაბრალიაო“, ნიშნის მოგებით გვეუბნება ბ-ნი არისტო. ჩვენთვის კი არა, ბევრი სხვებისათვისაც გაუგებარი გახლავთ ეს თქვენი ტერმინი და ძნელი ასახსნელიც იმ ბავშვებისათვის, რომელთაც „ბუსტუღიც“ (фисташка) არ უნახავთ რა ხილია, ან რა ფერისა. განა იმერეთში ბევრია ეს მცენარე?!

ბ-ნი არისტ. ქუთათელაძე განგრძობს: „როგორ შეიძლება, ქვემდებარე მრავლობითს რიცხვში იყოს და შესმენილი მხოლოობითს რიცხვშიო“—გვეუბნება „განათლება“ („დროება“ № 6). ეს მართალი არ არის. ბრკალებში ჩასმული სიტყვები, რასაც „წყაროს“ ავტორი ჩვენ გვაწერს, „განათლებაში“ არ არის დასტამბული და სხვისი აზრის დამახინჯება ვერაფერი საქმეა. ეს ხერხი იმიტომ იხმარა ბ-ნმა არისტ. ქუთათელაძემ, რომ აი შეხედეთ, ბ-ნი გოგებაშვილი ქვემდებარეს მრავლობით რიცხვში ხმარობს, შემასმენელს—მხოლოობითში, იმას არ უკიჟინებთ და ჩემს ნაშრომს „ზიზღით“ უცქერითო, და მოჰყავს მაგალითები „ბუნების კარიდან“, სადაც უსულო საგნების აღმნიშვნელი სიტყვები წინადადებაში მრავლობითს რიცხვშია ნახმარი ქვემდებარედ და შემასმენელი—მხოლოობითს რიცხვებში—მაგალ.— „**ჩვრები იშლება**“, „**ნერვები გამოდის**“ და სხ. მაგრამ „ბუნების კარიდან“ და „წყაროდან“ აღებული მაგალითები ძლიერ შორი-შორს არიან ერთმანეთზე. „განათლებაში“ „წყაროდან“ იყო ამოღებული შემდეგი მაგალითები: „**პეპელა და მწერი გამოძვრაო**“; რეცენზენტმა შენიშნა—უნდა ითქვას „**გამოძვრნენ**“; **იამ და ვარდმა თავის სუნი არემარეს მოჰფინაო**“—რეცენზეტი ეუბნებოდა—„**მოჰფინეს**“ სჯობიაო. „**მერცხალი და ბულბული ჩამოდიან და არემარეს აცოცხლებენო**“ („განათლება“ №5-6, გვ. 53). ერთს ადგილას ზმნა მრავლობითს რიცხვშია, მეორე ადგილას—მხოლოობითში. ესეთი არეულობა შეიძლება გამოურკვევლობის გამო მწერლობაში იყოს, მაგრამ სახელმძღვანელო წიგნში ამისთანა არეულობის შეტანა მართლ-წერის და გრამატიკის მხრით არ არის სასურველი. ყოველ შემთხვევაში ზოგიერთი საკითხი მაინც საკამათოა და მისი გამორკვევა მწერლობაში საჭიროდ მიგვაჩნია.

ბ-ნს არისტ. ქუთათელაძის შენიშვნა, რომ „ჰაერი ზევით ციცია და ქვევით თბილიო“, მართალია; ჩვენკი, სამწუხაროდ, კორეკტურის დროს ვერ მივაქციეთ ყურადღება და ჟურნალში დაიბეჭდა: „ჰაერი ზევით თბილია, ქვევით ციცაიო“. ეს ჩვენი ბრალია, მაგრამ მკითხველი ისედაც მიხვდება ამ კორეკტურულ შეცდომას.

„განათლებაში“ იყო „წყაროდან“ მოყვანილი შემდეგი წინადადება: „ყველა ომობს და უსიკვდილოდ შვილს არავის არ დაანებებენ“. (თუ დაანებებს). „ნაცვალ სახელი „ყველა“ (უნდა ვიგულისხმოდ ამ წინადადებაში) თხოულობს მხოლოობითს რიცხვს და თუ ამ წინადადებაში ერთი ზმნა „ომობს“ მხოლოობითს რიცხვზეა, მეორეს „დაანებებენ“ რაღა დაშავა, რომ მრავლობით რიცხვზეა დაყენებული? („განათლ.“, № 5—6, გვ. 58) ბ-ნ არისტოს ეს შენიშვნა არ მოსწონს და გასაბათილებლად მოჰყავს შემდეგი წინადადება: „ყველა კრიტიკოსობს, მაგრამ კრიტიკოსები კი არიან?“ შეადაროს მკითხველმა ეს მაგალითები და ადვილად მიხვდება რა განსხვავებაა მათ შორის.

სტატიაში „ფრინველების მოგზაურობა“ („წყაროს“ II ნაწ.) რეცენზენტმა აღნიშნა, რომ სიტყვა „**მოსულის**“ მაგიერ უკეთესი იყო „**წამსვლელი**“ გეხმარაო. სტატიაში აწერილია ფრინველების გამგზავრე'ა თბილ ქვეყნებისაკენ და ჩვენც ვეთანხმებით რეცენზენტს, მაგრამ ბ-ნი არისტ. ქუთათელაძე მაინც გვეკამათება, უთუოდ „**მოსული**“ უნდაო; აი გოგებაშვილი „**მოსულს**“ ხმარობსო, მაგრამ ჩვენი მოკამათე არ ჩაჰკვირვებია იმას, თუ სად და როგორ ხმარობს ბ-ნი გოკებაშვილი სიტყვა „მოსულს“. ბ-ნი გოგებაშვილი სწორედ თავის ადგილას ხმარობს ამ სიტყვას, როცა ეხება გაზაფხულზე ჩვენში ფრინველების დაბრუნებას, ხოლო სხვა ადგილას, როცა ფრინველების გამგზავრებას ეხება, იქ პირდაპირ ამბობს; „**წამსვლელი ფრინველის რიცხვი დიდია**...“ („ბუნების კარი“ გვ. 109, მაგ. 16).

„განათლება“ ბევრგან სიყალბესა და ჩვენი სიტყვის გადამახინჯებას კისრულობსო“ („დროება“ № 6). ამბობს ბ-ნი არისტო. ღმერთმა დაგვიფაროს ამ გვარ სენისაგან, თუ სიყალბედ არ მიიმჩნევენ ზოგიერთ კორექტურულ შეცდომას, რომელსაც დაკვირვებული მკითხველი ყოველთვის შეატყობს, მაგრამ ჩვენგანი ვინმა სდგას უფრო ყალბ ნიადაგზე, არც ესაა ძნელი გამოსაცნობი.

ბ-ნი არისტ. ქუთათელაძე არწმუნებს მკითხველებს, რომ მე არ მითქვამს „სეტყვა გაყინული ორთქლიაო“ და „განათლების“ რედაქტორმა ცილი დამწამაო. გამოვარკვიოთ, რამდენად საბუთიანია ჩვენი მოკამათის სიტყვები. აი რა სწერია „წყაროში“ სეტყვაზე: „**ამ ჰაერში რომ მოყოლილი ორთქლია, უცებ ცივდება და იყინება. გაყინული მძიმეა და ქვემოთკენ მოდის. ამას ქვია სეტყვა**“. ჩაუკვირდით ამ სამ წინადადებას, დაუსვათ კითხვები საითითაოდ. 1. რა ცივდება და იყინება?—ორთქლი. 2. რა არის „გაყინული?—ორთქლი. 3 არ მოდის ქვემოთკენ? გაყინული ორთქლი. რა ჰქვია ამას?—**სეტყვა**. რა ყოფილა სეტყვა?—გაყინული ორთქლი. უკანასკნელი ორი წინადადება, რომელიც ნათელს ჰყოფს „განათლებაში“ გამოთქმულს აზრს. „წყაროს“ ავტორმა „დროებაში“ არ ამოსწერა, მიაფუჩეჩა. რად?!!

„განათლება“ ცილს გვწამებს,—განაგრძობს ბ-ნი არისტო—თითქოს ჩვენ გვეხმაროს ტერმინად „ჭიპი“. ჩვენ ვიხმარეთ ტერმიანად „ზღვის ჭიპიო“ („დროება“, № 6). მერე ვინ გადაასხვაფერა ეს თქვენი საუცხოვო ტერმინი? გადაათვალიერეთ „განათლების“ მე-57 გვ. და ნახავთ, რომ სწორედ ისეა ნახმარი, როგორც თქვენ გსურთ და თუ ერთხელ სტატიის ბოლოში ავტორს უხმარია „ჭიპი“ „ზღვის ჭიპის“ მაგიერ, ამას მკითხველი ისედაც მიხვდება, რომ აქ „ზღვის ჭიპზეა“ ლაპარაკი და არა საქონლის ჭიპზე.

„თუ „ღუპე“ არ იცის „განათლებამ“ და მისმა რედაქტორმა, იმერეთში თავის მეზობლებს ჰკითხოს და ისინი განუმარტებენო“ („დროება“, № 6). იქნება ხონში და ღანირში ხმარობდნენ ამ სიტყვას, მაგრამ არა გვგონია იმერეთში ყველგან ხმაროდნენ მას და ახირებულ რჩევასაც იძლევა ბ-ნი არისტო. თუ ყველას, ვისაც ეს სიტყვა არ ესმის, იმერეთში მოგზაურობა მოუხდა ამისათვის, იაფად არ დაუჯდება ეს გასეირნება!

„განათლების“ შენიშვნა „ღრუბლის“ შესახებ „წყაროს“ ავტორს არ მოსწონს, იგი გვასწავლის: „შეიძლება და ასეც არის,—არც შავი ღრუბელი იყოს ცაში და არც თეთრი, მაგრამ ორთქლი კი იყოს. მაგრამ იქნება „განათლებისათვის“ ეს ამბავი ახალი ხილია“. („დროება“, № 6). ამის შემდეგ გვირჩევს ფიზიკურ გეოგრაფიის სახელმძღვანელოების შესწავლას და სხ. ახირებულია ჩვენი მოკამათის მსჯელობა! ან ჩვენ მივაჩნევართ სრულიად უმეცრად და თავისი თავი დიდ მეცნიერად, მაგრამ არ იცის რა არის ორთქლი და თავის უმეცრებას ჩვენ გვიკიჟინებს. როცა ორთქლი ჰაერში გროვდება ერთად, განა ამნაირი ორთქლი ღრუბელს არ შეადგენს? ასეც გახლავს, მაგრამ უფრო გასაგებად, მდაბიურად მოვახსენებთ ბ-ნ არისტოს: ყოველ ჰაერში ურევია მეტნაკლებობით წყალი ჰაერგვარად, წვლილად ქცეული. წყალი აორთქლის დროს უხილავ ჰაერგვარად ხდებადა უერთდება ჰაერს. ე. ი. წყალი იშლება ჰაერში ისე, როგორც შაქარი დნება წყალში და უხილავი ხდება. ეს ჰაერგვარად ქცეული წყალი, როგორც ჰაერი, უხილავია, მაგრამ სიცივეში იგი გამოიყოფება ჰაერიდან და ხილულ ორთქლად იქცევა. ორთქლი შესდგება წყლის პაწაწა ბუშტებისაგან. ეს ბუშტები ისეთი სუბუქია, რომ ადვილად დაფრინავს ჰაერში, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ეს ჰაერგვარი არ არის, არამედ სითხის პაწაწა ბუშტებია და მისი დანახვა ჰაერში, თუ ბლომად არის მოგროვილი, ან თხლადაც რომ იყოს, შესაძლებელია და ამ წყლის ორთქლს, ზაღლა ჰაერში მოგროვილს, ვეძახით ღრუბელს და, როცა ის დედამიწაზე,—ან მთების ფერდოებზეა გაშლილი—ნისლს. ეხლა ვკითხოთ ბ-ნ არისტოს: თუ ცაში არც შავი ღრუბელია და არც თეთრი, არამედ მარტო ორთქლია, ეს ორთქლი ერთად შეგროვილი ღრუბელი არ იქნება? თუ გეიკე ამბობს ასეთს გაუგებრობას, რაც ბ-ნ არისტ. ქუთათელაძეს მოსწონს, არ ვიცი, მაგრამ უკანასკნელ დროის საუკეთო მეცნიერები ასე განმარტავენ ორთქლისა და ღრუბლის ამბავს და ციტატებით მკითხველებს თავს არ მოვაბეზრებთ. მაგრამ ჩვენი მოკამათე მეცნიერს კილოთი განაგრძობს: „ღრუბელი ზოგი თეთრია, ზოგი—შავი. შავში მეტია წყლის წვეთი, თეთრში ცოტა“ („დროება“, № 6). რა არის ღრუბელი და რისგან შესდგება იგი, ზემოთ მოგახსენეთ. აქ ვიტყვით მხოლოდ, რომ არც ერთს ღრუბელში წყლის **წვეთი** არ არის, არამედ სითხის ბუშტებია, რომლის შეერთებიდან ჩნდება წვეთები და წვიმის სახით ეცემა დედამიწაზე, მაგრამ თუ ეს ბუშტები მოხვდა ცივს ჰაერში და უცბად გაიყინა, მაშინ ამ ნაირ ღრუბლიდან, წვიმის მაგიერ, თოვლი მოდის და არა სეტყვა, როგორც ბრძანებს ბ-ნი არისტო ვიღაც უსახელო მეცნიერის სიტყვით. ყოველ შემთხვევაში თქმა იმისი, რომ ღრუბლებში წყლის წვეთებიაო, ვერაფერი საღი მოსახრეაა, რადგან, როგორც მოგახსენეთ, წვეთებს, სიმძის გამო, ღრუბელში დარჩენა არ შეუძლია. უახრობაა იმის თქმაც, რომ ცაში თუნდაც თხლად იყოს მოფენილი წყლის ორთქლი, ეს უკანასკნელი ღრუბელს არ შეადგენდეს, ნისლი, თხელი იქნება თუ სქელი, მაინც ნისლია, აგრეთვე—ღრუბელიც.

დასასრულ, ბ-ნი არისტ. ქუთათელაძე ახირებულ პრეტენზიას აცხადებს, ხედავს „ზიზღს“ და „უზრდელობას“ იქ, სადაც მათ ადგილი არა აქვს: „განათლების“ „ზიზღი იქამდის მივიდაო—ბრძანებს ბ-ნი არისტო,—რომ მას ჩვენ ვუძღვენით ჩვენი წიგნები—„წყაროდ“ და „საზოგადო გეოგრაფია“, რედაქციამ იმდენი ზრდილობაც კი არ იხმარა, გამოეცხადებინა „ეს და ეს წიგნი გამოვიდაო“ („დროება“ № 6). ვინც ჩვენს რედაქციას წიგნებს უგზავნიდა და უგზავნის, განცხადების დაბეჭდვას კი არ თხოულობს, არამედ წიგნის საბუთიანს გარჩევას. რედაქციაც ასე იქცევა, მას ცალკე განყოფილება არა აქვს, რომ რედაქციაში მიღებულ წიგნებისა ბეჭდოს. ეხვა ავტორების წიგნები რომ გამოგვეცხადებინა და „წყაროს“ ავტორის წიგნები არა, მაშინ მას კიდევ ექნებოდა საბუთი ჩვენთვის „ზიზღი“ და „უზრდელობა“ ეკიჟინა, ეხლა კი ნება აქვს ორივე უკანვე წაიღოს.

ჩვენც მოწადინებული ვიყავით დღევანდლამდინაც გაერჩია ვისმეს ის წიგნები, რაც მან „განათლებას“ გამოუგზავნა, მაგრამ ვისაც მივანდეთ, ჯერჯერობით ვერ შეგვიტყობია. მგონია არც სხვა ჟურნალ-გაზეთების რედაქციებს შეუწუხებიათ თავი ბ-ნ არისტ. ქუთათელაძის წიგნების გამოცხადებით, მაგრამ უზრდელობას იმათ კი არ უკიჟინებს?!

ჟურნალ „განათლებაში“ დასტამბული რეცენზია „წყაროს“ მე-II ნაწილის შესახებ მართალია ცოტა სუსხიანი იყო, რამაც ალბად გააჯავრა „წყაროს“ ავტორი, მაგრამ ბევრი შეცდომა სინამდვილით იყო აღნიშნული, მათში ზოგი წვრილმანი და საკამათოც, მაგრამ რეცენზენტის გულწრფელობაში რედაქციას ეჭვი არა ჰქონია და არცა აქვს. მართალია, კილო რეცენზიისა ცოტად თუ ბევრად გადაჭარბებული ეჩვენებათ ზოგიერთებს, მაგრამ თუ მკითხველი მუშტრის თვალით გაჰსინჯავს ძველი ამ მასალას, რაც „წყაროს“ მეორე ნაწილშია მოთავსებული, დაინახავს, რომ იქ იშვიათი მასალაა ისეთი, რომელშიაც დიდძალი შეცდომები არ იყოს, როგორც ენის, ისე მეცნიერების მხრივ, დაინახავს იმასაც, რომ ბევრი უფრო საყურადღებო შეცდომისათვის რეცენზენტს ყურადღება არ მიუქცევია და, მაშასადამ, „წყაროს“ მომავალში გულდასმით შესწორებას და გადაკეთებას უფრო მოითხოვს, რაც საჭიროა, როგორც ავტორისათვის, ისე ჩვენ ღარიბ პედაგოგიურ მწერლობისთვისაც. რედაქციას შეეძლო რეცენზენტის კილო ცოტად თუ ბევრად შეეცვალა და თუ ამაში ჩვენ ბრალსა გვდებენ, არ დავმალავთ და ამ ბრალდებასაც ჩვენ თავზე ვღებულობთ და თუ ნებავთ ბოდიშსაც მოვიხდით „წყაროს“ ავტორის წინაშე, გამსჭალული იმ რწმენით, რომ სუსხიანობით უფრო მეტს ყურადღებას მიაპყრობენ და შემდეგი გამოცემა „წყაროსი“ მოკლებული იქნება იმ შეცდომებს, რაც „განათლებამ“ აღნიშნა.

რასაკვ რველია, „განათლებაში“ დასტამბული გარჩევა წყაროსი“ არ ჰგავს იმ რეცენზიას, რომელიც უძღვნა „წყაროს“ პირველ გამოცემას ერთს დროს „ივერიის“ ერთმა თანამშრომელმა, რომელსაც წიგნი არცკი წაეკითხა და მარტო მშრალ „კომპლიმენტებს“ უძღვნიდა „წყაროს“ შემდგენელს, მაგრამ ამით, მეორეს მხრივ, ეროვნულ დამოუკიდებლობას ეწევა ... „ივერიის“ ... ზოგადოებისა ... ეროვნულ ... ბენ ... ეროვნულ ... ბენ ... ეროვნულ ... ბენ